საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 28 სექტემბერი 2016 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/09

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამული დაფინანსებისა და სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტზე სტიპენდიის დანიშვნის საკითხის განხილვის შესახებ

2016-2017 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების შემოქმედებითი ტურების შედეგებით მიღებული პროგრამული დაფინანსების, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით მიღებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 27 იანვრის №05-01/02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამული დაფინანსების გაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მიღებული პროგრამული დაფინანსებისა და სახელმწიფი სასწავლო გრანტის გათვალისწინებით დაენიშნოს ყოველთვიური სტიპენდია:

- ზარიძე მარია - აკადემიური სიმღერის სპეციალობის I კურსის სტუდენტი.

2. სტიპენდიის ოდენობად განისაზღვროს სტიპენდიანტის მიერ მიღებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის (50%-ი) ნახევარი ყოველწლიურად სწავლის დასრულებამდე.

3. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**